საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №30

ქ.თბილისი 28.05.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);
ნინო ლიპარტია - „იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი (საბჭოს მდივანი);
ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
სერგო ჭელიძე - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
დენიტა ბიბილეიშვილი - საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;
სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი;
თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე.

სხდომაზე დამწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები:

ლაშა მაჭარაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი;
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარიამ მისერაშვილი - „ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
მაკა კაჭარავა - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფი სსამსახურის უფროსი;
რომეო გალდავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფროსი;
მარაბ ნაჭყებია - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
ზურაბ პაპასკირი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; „საქართველოს ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
მარინა კაკაჩია - დეკანის მოადგილე;
ლია ახალაძე - ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, „საქართველოს ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
ბეჟან როხავა - ასოცირებული პროფესორი;

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელბის თბილისის სახელმწიფო უნივ ერსიტეტი:

ნ. ქიმერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ..
ლ. მაჭავარიანი - „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
ზ. სეფერთელაძე - პროფესორი;
ვ. ტრაპაიძე - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
გ. ბრეგვაძე - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი; ხარსიხის სამსახურის წარმომადგენელი;
თ, ჭელიძე - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარსიხის სამსახურის უფროსი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:
ნინო პოპიაშვილი
ხვთისო მამისიმედაშვილი
ანჟელა აბულაძე
ბექა ჯვაჭაძე
ნოდარ ფოფორაძე
მიხეილ ელაშვილი

სატელეფონო ზარი განხორციელდა მალხაზ თორიასთან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის№65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ემუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი:

1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საქართველოს ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავჯდომარემ, საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარდგენილ არ იქნა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.

1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ფილოლოგია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფილოლოგიის მაგისტრი 1005
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს ჰკითხა, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რათა მათ დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია პროგრამასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმყოფებოდნენ „ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით და დაამატა, რომ პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2013 წელს. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ წინა აკრედიტაციის დასკვნასაც, რომლის მიხედვითაც ექსპერტებმა დაადგინეს ის სიახლეები რაც დაინერგა პროგრამაში 2013 წლის შემდეგ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამა სრულ შესაბამისობაში იყო პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტთან და მეტწილად შესაბამისობაში - მეორე სტანდარტთან, ხოლო მთლიანობაში შეესაბამებოდა არსებულ სტანდარტებს. მან საბჭოს წევრებს გააცნო ჯგუფის მიერ პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდებულია:

1. „ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამაში იყოს შეტანილი ისეთი სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტებს შეასწავლის ფოლკლორის როლსა და მნიშვნელობას;
2. სტუდენტების აკადემიური მოსწრების გაანალიზების, სტუდენტთა პორტფოლიოს შექმნისა და ინფორმაციის მიწოდების გზების გამარტივების მიზნით მიზანშეწონილია მაგისტრატურის სტუდენტებისთვისა შეიქმნას ელექტრონული მართვის სისტემა;
3. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა, დამხმარე და სასწავლო მასალა. წიგნების ნაწილი არ არის

შეტანილი ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში, ან არ იძებნება. მიზანშეწონილია, ბიბლიოთეკის კატალოგთან შესაბამისობაში მოვიდეს საგნების სილაბუსები;
4. აუცილებელია, განახლდეს საბიბლიოთეკო ბაზა შესაბამისი სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურით;
5. სილაბუსებში დასახელებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის შინაარსთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სამაგისტრო ნაშრომების ნაწილში შეინიშნებოდა პუბლიცისტური სტილი. სასურველია, რომ ნაშრომები დამუშავდეს სამეცნიერო სტილით;
2. განახლდეს უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი სასწავლო ლიტერატურით;
3. სასურველია, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოტივირება/დაინტერესება მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში მონაწილეობის მისაღებად (SCOPUS, EBSCO და სხვ.);
4. სასურველია, სამაგისტრო პროგრამაზე მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების წახალისების მიზნით დაწესდეს შიდა დაფინანსება/სტიპენდია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამას ჰქონდა ორი მოდული: ქართული ლიტერატურათმცოდნეობა და ქართველური ენათმეცნიერება, თითოეულ მოდულში განსაზღვრული იყო მიზნები და ამოცანები, რომლებიც სრულად შეესაბამებოდა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას და მიზნებს. ასევე, ხაზი გაუსვა ორივე მოდულში ქართულ - აფხაზური ლიტერატურისა და ენობრივი ურთიერთობის ამსახველ საგნებს, რომელიც ექსპერტის მოსაზრებით პროგრამის დადებითი მხარე იყო და გარკვეულწილად ემსახურებოდა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას. ქართველური ენათმეცნიერების სასპეციალიზაციო მოდულის მიზანს წარმოადგენდა აღნიშნულ დარგში სპეციალისტებს საფუძვლიანად შეესწავლათ არსებული განსხვავებული სამეცნიერო შეხედულებები. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი იყო სამეცნიერო შეხედულების სხვაობების აღნიშვნა, რადგან არსებობდა ქართველურ ენათმეცნიერებასთან დაკავშირებით გამოთქმული სხვადასხვა სამეცნიერო აზრი და მათი შეჯერების მცდელობა გამოცდილებას შესძენდა სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვიზიტმა ჩაიარა კოლეგიალურ გარემოში, მათ საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ყველა მნიშვნელოვან დოკუმენტს, მოითხოვეს სამაგისტრო ნაშრომები, მაგისტრანტების და კურსდამთავრებულების პირადი საქმეები, ჰქონდათ ყველა საჭირო შეხვედრა როგორც უნივერსიტეტის, ასევე, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, თუ რა შედეგი დაინახეს მათ მიერ სამაგისტრო ნაშრომების გაცნობამ და რა წარმოდგენა შეექმნათ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი დასკვნაშიც ასახეს. ზოგიერთ შემთხვევაში ნაშრომები შესრულებული იყო პუბლიცისტური სტილით და საჭირო იყო სამაგისტრო ნაშრომების გამართვა სამეცნიერო სტილით. მისი თქმით, ეს საკითხი ადგილზეც გააცნეს დაწესებულების წარმომადგენლებს.

საბჭოს წევრმა ნინო ლიპარტიამ შეკითხვით მიმართა ექსპერტს ხომ არ ჰქონდათ რაიმე შენიშვნა ციტირებასთან და სქოლიოებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ მსგავსი საკითხი აღნიშნულ უნივერსიტეტში შეისწავლეს ერთ-ერთ სადოქტორო პროგრამაზე განხორციელებული სააკრედიტაციო ვიზიტის დროს. ექსპერტმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა უშუალო კავშირი პოლონეთის ერთ-ერთ სამეცნიერო ორგანიზაციასთან, რომლებიც უზრუნველყოფდნენ პლაგიატის პროგრამით დაწესებულებას როგორც სადოქტორო, ისე სამაგისტრო და საბაკალავრო საფეხურზე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როდიდან სარგებლობდა უნივერსიტეტი აღნიშნული პროგრამით, რადგან სხვა სხდომაზე განიხილეს მსგავსი საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შეძენილი იყო პროგრამა და მიმდინარეობდა პროგრამის სამართლებრივად ჩასმა დოკუმენტებში.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ პროგრამის პოლონური ვერსია აპრობირებული იყო და ბევრ უნივერსიტეტს გააჩნდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ ხელშეკრულება გაფორმდა და მიმდინარეობდა წესდებისა და ეთიკის კოდექსის შემუშავება სტუდენტთა და პროფესორთა ინფორმირებისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ციტირების სტილთან დაკავშირებით დამატებით აღნიშნა, რომ სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში აპრობირებული იყო APA (ეი ფი ეი) ციტირების სტილის, ე. წ „აკა სტილის" (Aca style) გამოყენება. ამ სტილით ქვეყნდებოდა მსოფლიოს მრავალი სამეცნიერო გამოცემა, ჟურნალები და მონოგრაფიები. სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა იყენებდა „აკა სტილს". მისი აზრით, ნაშრომები გაფორმებული იყო აკას შიდა ტექსტური დამოწმების სტილით, რაც დანერგილი მეთოდი იყო.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა დამატებით განმარტა, რომ დაფინანსებასთან დაკავშირებით უნივერსიტეში მუშაობა დაწყებული იყო, ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიაცია გაიარა 2013 წელს და ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს იგი. აღნიშნულ დასკვნაში რეკომენდაციებისა და რჩევების ნაწილი ეხებოდა ცალკეული კურსების გაუმჯობესებას, სამაგისტრო ნაშრომების სავარაუდო თემატიკის გაუქმებას. უნივერსიტეტმა ეს რჩევები და რეკომენდაციები გაითვალისწინა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2013 წლის აკრედიტაციის შემდეგ უნივერსიტეტმა დანერგა ახალი სასწავლო კურსები, მათ შორის აფხაზური ლიტერატურის და ენის სწავლების თვალსაზრისით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა 2013 წლის 10 ივნისის დასკვნაში აღნიშნულ რეკომენდაციაზე, სასურველი იყო მოხსნილიყო სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, განმარტა, რომ პროგრამას ჰქონდა წინაპირობა, სადაც ჩაბარების უფლება ჰქონდათ ჰუმანიტარული პროფილის რელიგიათმცოდნეობისა და განათლების მეცნიერების კურსდამთავრებულებს. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე უნივერსიტეტმა წინაპირობა მოხსნა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მათ გამოიკვლიეს თუ რა გამოცდილება ჰქონდა უნივერსიტეტს არა პროფილური ბაკალავრების მიღების შემთხვევაში, რას სთავაზობდნენ მათ, როგორ შეიძენდნენ იმ კომპეტენციებს, რაც პროფილური დარგის ბაკალავრებს გააჩნდათ და როგორ მოხდებოდა მათი ცოდნის დონის გათანაბრება.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს გააჩნდა ბევრი არჩევითი კურსი არაპროფილური განათლების მქონე კონტიგენტისათვის. თუმცა, პრაქტიკულად არ დადასტურდა არცერთი შემთხვევა, როდესაც სრულიად შეუსაბამო პროფილის კურსდამთავრებულს ჩაებარებინა ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ პოზიცია და სთხოვა ყურადღება გაემახვილებინათ იმ საკითხებზე, რომელიც მნიშვნელოვანი იყო, ასევე დაინტერესდა თუ რატომ შეიქმნა პრობლემა ბიბლიოთეკაში წიგნების ელექტრონულ კატალოგში ასახვისას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და ელექტრონულ ბაზასთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტმა თავისი ძალისხმევით შექმნა ელექტრონული ბაზა, რომელშიც სტუდეტებიც იყვნენ ჩართულები. მან აღნიშნა, რომ ბაზამ მთლიანად მოიცვა ბაკალავრიატის სტუდენტები - დაახლოებით 2 500 სტუდენტი და ექსპერტების ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტების ინფორმაციის შეყვანა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბაზაში ასახული მიმდინარე ნიშნები ანალიზისა და სტატისტიკური მონაცემების დამუშავების შესაძლებლობას იძლეობა.

16:16 საათზე საბჭოს შემოუერთდა მაკა ლაშხია.

პროგრამის თანახელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს რეკომენდაციებისთვის, რომელიც პროგრამის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. ფოლკლორის შესწავლასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ 2021 წელს მათ უწევდათ საბაკალავრო პროგრამის განვითარება და პრაქტიკულად შეთანხმებული ჰქონდათ, რომ ქართული ფოლკლორის 6 კრედიტიანი სასწავლო კურსი იქნებოდა სავალდებულო. აკადემიურ პერსონალთან შეთანხმებით შეიტანდნენ კურს, რომელიც ფოლკლორის, მითის და ლიტერატურის სამკუთხედს დააკავშირებდა და შეკრავდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლიტერატურის შეძენა და განახლება მუდმივად მიმნდინარეობდა და სილაბუსებში მითითებული დამხმარე და სავალდებულო ლიტერატურა აბსოლიტურ შესაბამისობაში მოდიოდა იმ თემებთან, რომლებიც ჩაშლილი იყო სილაბუსში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აფხაზოლოგიის, ქართველოლოგიის და ისტორიის კაბინეტებში, სადაც ატარებდნენ მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან ლექციებს, მიტანილი ლიტერატურა იყო ლექტორების პირადი ბიბლიოთეკიდან, რაც მითითებული ჰქონდათ სილაბუსებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თითქმის ყველა სილაბუსში იყო შენიშვნები, მაგალითად, „ ლიტერატურის მოძიება შესაძლებელია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ასევე, რექტორის პირად ბიბლიოთეკასა და სილაბუსში მითითებულ ვებ - გვერდზე".

დაწესებულების წარმომადგენემლა განმარტა, რომ 2018 წლის 16 მარტს გაფორმდა მემორანდუმი უნივერსიტეტის რექტორსა და ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს შორის. მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტებს უნივერსიტეტიდან გაუსვლელად ჰქონდათ წვდომა აბსოლუტურად ყველა ლიტერატურაზე (ელ - ვერსიებზე), რაც პარლამენტის ბიბლიოთეკაში არსებობდა. გარდა ამისა, უნივერსიტეტის თანამშრომლები სასწავლო კვირის განმავლობაში სტუდენტებისაგან იწერდნენ თუ რა ლიტერატურა სჭირდებოდათ და ყოველ პარასკევს მოჰქონდათ ბიბლიოთეკიდან. ორშაბათიდან - პარასკევამდე სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ამ ლიტერატურით და პარასკევს ისევ, უნივერსიტეტის თანამშრომელს მიჰქონდა პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

საბჭოს თავმჯდომარემ ურჩია დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ შეეძინათ თანამედროვე გამოცემები, რადგან აღნიშნულ სფეროში ისეთი რაოდენობის ახალი გამოცემები არ იქნებოდა, რომ ფინანსურად მიუწვდომელი ყოფილიყო უნივერსიტეტისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თითქმის ყველა თანამედროვე ლიტერატურა ჰქონდათ შეძენილი და აღნიშნა, რომ ბოლოს გამოიწერეს თამუნა პაიჭაძის, სოფიო ძნელაძის, ირმა რატიანის ავტორობით წიგნები და მუდმივად, ყოველწლიურად ხდება განახლება წიგნადი ფონდის განახლება. მისი განმარტებით, უბრალოდ არსებობდა ძველი გამოცემის წიგნები, რომლებსაც სტუდენტები იყენებდნენ სასწავლო პროცესში..

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა დაეფიქსირებინათ თავისი პოზიცია სამაგისტრო ნაშრომის სტილთან დაკავშირებით. ასევე განმარტა, რომ პუბლიცისტური სტილი საინტერესო იყო, მაგრამ არა სამეცნიერო.

დაწსებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ფილოლოგია არ იყო ზუსტი მეცნიერება, სადაც ყველაფერი იქნებოდა გაწერილი. ლიტერატურათმცოდნეობაში შედიოდა ლიტერატურის კრიტიკაც, ისტორიაც და თეორიაც, როდესაც სტატია იბეჭდებოდა ჟურნალებში ნებისმიერ ავტორს ჰქონდა უფლება, რომ რეკომენდირებულად წარმოადგინათ თავიანთი დამოკიდებულება ამა თუ იმ ავტორის მიმართ. ასევე აღნიშნა, რომ მათ მაგისტრატურის საფეხურზე ჰქონდათ აკადემიური წერის კურსი, სადაც პლაგიატის შესახებ ძალიან მკაცრად უხსნიდნენ სტუდენტებს, რომ არ შეიძლება, თუნდაც ბრჭყალებში, ჰქონდეთ ციტატა, რადგან პლაგიატის ამომცნობი პროგრამა ვერ ხედავს (თუ ის 30% აჭარბებს), თუნდაც სტუდენტებს გამუყენებული ციტატები და ლიტარატურა ყველა წესისი დაცვით ჰქონოდათ გამოყენებული. პლაგიატის თავიდან ასაცილებლად, გარდა პროგრამის ხელმძღვანელისა, ნაშრომებს ამოწმებდნენ კიდევს ორი ექსპერტი, შესაბამისად ნებისმიერ სამაგისტრო ნაშრომს პლაგიატის ამომცნობი პროგრამის გარდა, კიდევ სამი ფილოლოგი ამოწმებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს და საბჭოს წევრებს რამის დამატება ხომ არ სურდათ.

საბჭოს წევრმა ნინო ლიპარტიამ, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს პრქატიკის ნაწილთან დაკავშირებით და სთხოვა განემარტათ თუ სად გადიოდნენ სტუდენტები პრაქტიკას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულებას ჰქონდა გაფორმებული მემორანდუმი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები იქ გადიოდნენ პრაქტიკას. ექსპერტები შეხვდნენ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებსაც და ხელმძღვნელებსაც და დეტალურად გაეცნენ ამ საკითხებს, ასევე კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთანაც ისაუბრეს აღნიშნულ საკითხთან დაკაცშირებით. მან აღნიშნა, რომ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახებოდა ქართული ხელნაწერების ყველაზე მეტი რაოდენობა, სადაც სტუდენტებს, რომლებიც დაინტერესებულები იყვნენ ქართული ენობრივი მოვლენებით, ჰქონდათ საშუალება ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით პრაქტიკაში ენახათ და გაცნობოდნენ ენობრივ მოვლენებს, თუ როგორ ხდებოდა ამ ენობრივი მოვლენის სხვადასხვა ეპოქაში ქართულ თანამეცნიერებაში გარდასახვა, ასევე ლიტერატურადმცოდნეობის მოდულის სტუდენტებისათვისაც საინტერესო იყო, წერის შემოქმედებითი ლაბორატორია, ხელნაწერის დედნისა და ორიგინალის, ვარიანტებისა და საბოლოო ვერსიის ურთიერთობა, ერთმანეთთან შეჯერება. ექსპერტის თქმით, მათ ჰქონდათ შესაძლებლობა ყველაფერი ადგილზე ენახათ და შეესწავლათ.

საბჭოს მდივანმა ექსპეტებს მიმარტა კითხვით ერთ ლოკაციაზე გავლილი პროქატიკა იყო თუ არა საკმარისი და რა აზრი გამოთქვეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სტუდენტებმა.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მას შემდეგ რაც სტუდენტებს, რომლებსაც სურდათ პედაგოგიური საქმიანობის გაგრძელება და მათ სჭირდებოდათ დამატებით 60 კრედიტიანი პროგრამის გავლა ცალკე ხაზად, საშუალო სკოლაში პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებით ინტერესი დაკარგეს. ქართული მითოლოგიის სტუდენტებისათვის

ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ლიტერატურულ გარემოებებში, მუზეუმებში და მსგავსი ტიპის დაწესებულებებში გაეარათ პრაქტიკა. სტუდენტებს ასევე, არ გამოუთქვამთ სურვილი რაიმე სხვა ტიპის პრაქტიკის არსებობსათან დაკანშირებით.

საბჭოს წევრი ნინო ლიპარტიამ იკითხა თუ რამდენი სტუდენტი სწავლობდა პროგრამაზე.

დაწესებულები წარმომადგენელმა განმარტა, რომ არ ჰყავდათ ბევრი სტუდენტი და პრაქტიკის ერთი ლოკაცია დაძლევდა მათ.

საბჭოს წევრმა განმარტა, რომ კარგი იყო პრაქტიკის ეს შესაძლებლობა რომ ჰქონდათ სტუდენტებს, მაგრამ დარგიც არ იყო ისეთი, რომ სავალდებულო ყოფილიყო პრაქტიკა და მის გარეშე შედეგზე ვერ გასულიყო სტუდენტი.

ექსპერტმა განმარტა, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ნამდვილად უზრუნველყოფდა ორივე დარგის სტუდენტებისთვის შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას ენობრივი და ლიტერატურული თვალსაზრისით, ორივე მიმართულებით შეეძლოთ რომ ემუშავათ ტექსტებზე, მაგალითად სულხან - საბას, თვითონ ავტორის ხელიდან გამოსულ ხელნაწერებზე, დავით გურამიშვილის გამოსულ ხელნაწერზე მუშაობდნენ, ასევე მათ ევალებოდათ თავიანთი ე.წ საშინაო ნაშრომის დაწერა და პრეზენტაციის მომზადება.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ პირველ სემესტრში ისწავლებოდა წერილობითი კულტურა, რომელსაც ასწავლიდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი .

ამასთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ განუმარტა მათ, რომ დარგის სპეციალისტები უჭირთ.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს პროგრამის სუბსიდირებასთან დაკავშირებით, რადგან სტუდენტთა რაოდენობრივი სიმცირის გამო, ფინანსური თვალსაზრისით, საჭირო იყო დაფინანსების სხვა წყაროების მოძიება.

დაწესებულებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პერსონალის ხელფასებს ერთიანი ბიუჯეტიდან გასცემდნენ. პროგრამას ასევე გააჩნდა საკუთარი ბიუჯეტი, საიდანაც ფინანსდებოდა სახელმძღვანელოები, კონფერენციები, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მივლინებები, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა კონფერენციები და ა.შ.

საბჭოს სხდომას 16:30 საათზე შემოუერთდა ხათუნა თოდაძე.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ აპირებდნენ აღედგინათ შეღავათი მაგისტრანტისთვის, ერთი სემესტრის განმავლობაში გადასახადისგან თავისუფლდებოდა ვისაც ყველაზე მაღალი GPA ექნებოდა .

საბჭოს თავმჯდომარემ მოიწონა აღნიშნული ინიციატივა და განაცხადა, რომ ეს სერიოზული მოტივაცია იქნებოდა სტუდენტისთვის და თუ ამ შეღავათს აკადემიურ მოსწრებასაც მიაბავდნენ ძალიან კარგი იქნებოდა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა დაამატებით კომენტარი გააკეთა და საუკეთესო პრაქტიკად აღინიშნეს ექსპედიცია დასავლეთ საქართველოში, სვანეთის რეგიონში, მეცნიერების მიმართულებით, ეს იყო სამეცნიერო ექსპედიცია.

დაწესებულების წარმომადგენლის წამომადგენელმა, რომ ყოველ ზაფხულს სვანეთსა და ტაო - კლარჯეთშიც ტარდებოდა მსგავსი სახის ექსპედიციები.

საბჭოს წევრმა რჩევა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს უფრო მეტად დატვირთულიყო პროგრამა ფოლკლორთან დაკავშირებული საგნებით, რადგან ფოლკლორი არა მხოლოდ ფილოლოგიური მეცნიერებებისთვის იყო ძალინ მნიშვნელოვანი, არამედ ისტორიის თვალსაზრისითაც. მაგალითად მოიყვანა გერმანიის გამოცდილება ამ კუთხით და განმარტა, რომ ფოლკლორს გერმანელები თვლიდნენ ისტორიის დამხმარე დარგად, რადგან მათ ჰქონდათ ძალიან ძლიერი მითოლოგია და ფოლკლორი და თვლიდნენ, რომ ფოლკლორში შემორჩა ისეთი ფაქტები, რომლებიც ისტორიის სხვა წყაროებმა არ შემოინახა, ხოლო საქართველოში ფოლკლორი ისტორიისგან გამიჯნული იყო და ამიტომ მომხრე იყო ფოლკლორის სეგმენტის გაძლიერების.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს წევრს ფოლკლორის სეგმენტის გაძლიერების შესახებ.

საბჭოს წევრმა დასძინა, რომ მას ძალიან მოეწონა ეს რჩევა და კარგი იქნებოდა თუ საისტორიო მწერლობაშიც აისახებოდა ფოლკლორი, რადგან იქ ისეთ ლაშქრობებზეა ლაპარაკი, რომელიც სხვა წყაროებმა არ შემოინახა და აღწერილია ფაქტები.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა დანერგილი საგანი "ფოლკლორი და ისტორიული სიმბოლიკა". სტუდენტთა ნაწილს, რომელიც იკვლევდა, ენობრივ მოვლენებს საქართველოს სხვადახვა კუთხეში და დაინტერებული იყო ფოლკლორით, ექსპედიციების დროს შეეძლო სხვადასხვა ფოლკლორული ამბების ჩანაწერის მომზადება, რაც დააბალანსებდა ამ მოდულებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრს, ხომ არ ჰქონდა მას რაიმე შეკითხვა, რაზეც მან უპასუხა, რომ შეკითხვა მას არ ჰქონდა და უნდოდა დაეფიქსირებინა მისი აზრი პროგრამასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ის გაეცნო პროგრამას, რომელიც შედეგზე უპირობოდ გადიოდა და შეიძლებოდა ამ ფორმით პროგრამის არსებობა, მაგრამ მას ორ საკითხთან დაკავშირებით ჰქონდა შენიშვნა. მისი თქმით, გარკვეულ უხერხულობას ქმნიდა, როცა ქართული ფილოლოგიის საერთო სასწავლო საგნებში იყო ინგლისური და აფხაზური ენა, ხოლო ქართული ენა მთლიანად იფარებოდა მოდულებით. მან აღნიშნა, რომ სტუდენტი მაინც იღებდა ფილოლოგიის კომპეტენციისათვის საჭირო ქართული ენის ცოდნას, მაგრამ კარგი იქნებოდა დაწესებულებას გადაეხედა ამ საკითხისთვის. მისი აზრით, გაუგებრობას იწვევდა საერთო საგნებში ინგლისური და აფხაზური ენის არსებობა, ხოლო ქართული ენის მოდულებში. მეორე საკითხი პროგრამის წინაპირობის მოხსნას ეხებოდა, რომელიც წინა აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე ამოღეს პროგრამიდან.

საბჭოს წევრის აზრით ტრადიციული დარგებისთვის წინაპირობის მოხსნა სწორი გადაწყვეტილება არ იყო. თუ წინაპირობა მოხსნეს და რაღაც დამხმარე რგოლს უდგენდნენ არაპროფილური განათლების მქონე სტუდენტს, მისი აზრით, ის არ უნდა ყოფილიყო ძირითად პროგრამაში და შეეტანათ არჩევით საგნებში.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ პროფესორები ეწეოდნენ თავიან საქმიანობას, სტუდენტები არიან მოტივირებულნი და შესაძლებლობა აქვთ პროგრამის ფარგლებში მიიღონ ფილოლოგიის მაგისტრის კვალიფიკაცია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს და განუმარტა, რომ მათ ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაცია გაიარეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა კი განმარტა, რომ ეს იყო წესები რომელიც ისეთ ტრადიციულ დარგში, როგორიც იყო ფილოლოგია არ ჭრიდა, რადგან იმ ტიპის პროგრამებში არ შეიძლებოდა თუნდაც ორ საგანის გამოტოვება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ კიდევ რამეს დამატება.

საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 16:37 საათზე.
სხდომა განახლდა: 16:52 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

რეკომენდებულია:

1.„ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამაში იყოს შეტანილი ისეთი სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტებს შეასწავლის ფოლკლორის როლსა და მნიშვნელობას;

2.სტუდენტების აკადემიური მოსწრების გაანალიზების, სტუდენტთა პორტფოლიოს შექმნისა და ინფორმაციის მიწოდების გზების გამარტივების მიზნით მიზანშეწონილია მაგისტრატურის სტუდენტებისთვისა შეიქმნას ელექტრონული მართვის სისტემა;
3.უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა, დამხმარე და სასწავლო მასალა. წიგნების ნაწილი არ არის შეტანილი ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში, ან არ იძებნება. მიზანშეწონილია, ბიბლიოთეკის კატალოგთან შესაბამისობაში მოვიდეს საგნების სილაბუსები;
4.აუცილებელია, განახლდეს საბიბლიოთეკო ბაზა შესაბამისი სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურით;
5.სილაბუსებში დასახელებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის შინაარსთან.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3^1 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის:

საგანმანათლებლო პროგრამა - ,,ქართული ფილოლოგია“

საფეხური - მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ფილოლოგიის მაგისტრი (1005)

მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საქართველოს ისტორია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ისტორიის დოქტორი 1004
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურეინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე არ იმყოფებოდა საქართველოში და მას სამწუხაროდ ინტერნეტთანაც არ ჰქონდა წვდომა, მის პოზიციას კი მოისმენდნენ გამოგზავნილი აუდიო ჩანაწერის მეშვეობით.

ცენტრის თანამშრომელმა ლაშა მაჭარაშვილმა ჩართო აღნიშნული ჩანაწერი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის თანამშრომლებსა და დაწესებულების პროფესორებს, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს და ბოდიში მოუხადა მათ სხდომაზე ვერ დასწრებისთვის, რადგან ის არ იმყოფებოდა საქართველოში. მან დააფიქსირა აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებით ექსპერტთა კორპუსის პოზიცია, განაცხადა რომ ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 23 აპრილს და ვიზიტის ერთ - ერთი მთავარი ამოცანა იყო, დაედგინათ, თუ რა ცვლილებები განხორციელდა 2018 წლის 25 აპრილის შემდეგ. მისი განმარტებით ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდათ ძალიან საინტერესო შეხვედრები, გაითვალისწინეს ყველა ასპექტი, რისი მონიტორინგიც მათ ევალებოდათ და სრული წარმოდგენა შეექმნათ მიმდინარე, არსებული მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, პროგრამის განმახორციელებელმა გაითვალის წინა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გამოთქმული რეკომენდაციები და რჩევები. მაგალითად, პროგრამის მიღების წინაპირობებში უცხო ენაში მისაღები გამოცდის ჩატარების კუთხით, წინა პროგრამაში შეთავაზებული ოთხი უცხო ენიდან ამოღებულ იქნა რუსული ენა, ასევე პროგრამის მიღების წინაპირობებში გასაუბრება სპეციალობაში შეიცვალა გამოცდით. მისი განმატებით, გათვალისწინებულ იქნა აგრეთვე რეკომენდაცია აპლიკანტის მიერ სამოტივაციო წერილის წარმოდგენის შესახებ, სავალდებულო კურსებიდან გადამუშავდა სწავლების თანამედროვე მეთოდების და აკადემიური წერის კვლევის მეთოდების კომპონენტები სილაბუსებში, ასევე გათვალისწინებული იქნა ექსპერტთა რეკომენდაცია მსგავსი ორი სასწავლო კურსის შესახებ, რომელიც ეხებოდა "საქართველოს ისტორიის ძირითად პრობლემებს სხვადასხვა ეტაპზე" ერთ საგნად გაერთიანებას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კურსები შეივსო ახალი სასწავლო დისციპლინებით, როგორიც იყო "ანტიკური მემკვიდრეობა საქართველოს შესახებ", "ქართული და აღმოსავლეთ ქვეყნების სამხედრო პოლიტიკურ ასპარეზზე", "საქართველო და სამხრეთ კავკასიის მეზობელი სახელმწიფოები". კვლევითი კომპონენტებიდან ამოღებულ იქნა კოლოქვიუმი და 120 კრედიტი სრულად დაეთმო სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანად გაზრდიდა ხარისხს თვითონ დისერტაციის შესრულების თვალსაზრისით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა რეკომენდაცია და რჩევები:

რეკომინდირებული იყო

- სემინარი 2-ს წინაპირობად განისაზღვროს სემინარი 1

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კურსის - *საქართველოს ისტორიის დოკუმენტური წყაროები. უძველესი დროიდან XIX ს. I ნახევრის ჩათვლით* სილაბუსი საჭიროებს გარკვეულ რედაქტირებას. 1. კურსის ფარგლებში დოკუმენტების მიმოხილვა იწყება მე-11 საკუნიდან. შესაბამისად, სასურველია კურსის დასახელება მოვიდეს საკითხებთან შესაბამისობაში და უძველესი დროის ნაცვლად მიეთითოს ის პერიოდი, რომელსაც კურსი რეალურად ფარავს. 2. კურსის ძირითად ლიტერატურდ განსაზღვრულია საქართველოს ისტორიის ნარკვევები, მაშინ როცა დამატებით ლიტერატურაში მითითებულია რიგი მნიშვნელოვანი მონოგრაფიებისა. სწავლების საფეხურიდან გამომდინარე, რომელიც პროგრამის მონაწილის კვლევითი უნარის რეალიზაციაზე არის ორიენტირებული, სწორედ სამეცნიერო რესურსის ეს უკანასკნელი კატეგორია უნდა იყოს ძირითადი სამუშაო მასალა. რაც შეეხება საქართველოს ისტორიის ნარკვევებს და მსგავს შემაჯამებელ გამოცემებს, ისინი სწორედ დამატებით რესურსებად უნდა განიხილებოდეს, რომელიც შეიძლება დოქტორანტ-მკვლევარს გარკვეული, ზოგადი საორიენტაციო მიზნებით გამოადგეს.
- უმჯობესი იქნებოდა პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის არსებობდეს საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად გარკვეულ საკითხებზე აპელაციის და გასაჩივრების ფორმალური მექანიზმი.

- სასურველია ცალკე, არჩევითი კურსის სახით, ისწავლებოდეს სამეცნიერო პროექტების შედგენის წესების და ტექნიკის პრაქტიკული კურსი. მსგავსი ტიპის უნარების განვითარება გაზრდიდა სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში დოქტორანტების წარმატებით მონაწილეობის შანსებს. ეს ყველაფერი კი დამატებით შეუწყობს ხელს მათი სამეცნიერო პოტენციალის რეალიზებას.

- სასურველია დოქტორნატები უფრო მეტად იყვნენ ჩართული სასწავლო პროცესში. კერძოდ, პროგრამაში შეიძლება უფრო გამოკვეთილი იყოს ამ მიმართულებით (სემინარების წაყვანა და პროფესორის ასისტირების სხვა ფორმები) სტუდენტების დატვირთვის კომპონენტი.

- სასურველია პროგრამის ფარგლებში დოქტორანტებისთვის განსაზღვრული იყოს შიდა გრანტების და/ან ამა თუ იმ სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ჩართვის შესაძლებლობა.

- სასურველია ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის მოხდეს დამსაქმებელ ორგანიზაციათა რაოდენობის გაზრდა და დივერსიფიკაცია.

- უმჯობესია, რომ დასაქმების სფეროს ჩამონათვლიდან ამოღებულ იქნას სკოლა. გამომდინარე იქიდან, რომ საჯარო სკოლებში დასაქმება შესაძლებელია „მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი" საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემდეგ, ეს ჩანაწერი პროგრამაში უნდა დაკორექტირდეს.

- სასურველია დამსაქმებლები და პოტენციური დამსაქმებლები გაეცნონ პროგრამას, რათა მათი რჩევები სათანადოდ გაითვალისწინონ პროგრამის ხელმძღვანელებმა

- სასურველია უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს აკადემიური პერსონალის ფინანსურ მხარდაჭერაზე, ბიუჯეტში სამეცნიერო კონფერენციებისა და მონოგრაფიების გამოცემის ხარჯების გაზრდაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მხრიდან გათვალისწინებულ იქნა ყველა ის რეკომენდაცია და რჩევა რაც წინა აკრედიტაციის დროს მიიღეს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, პროგრამა აკმაყოფილებდა კანონით განსაზღვრულ სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია მათთვის გასაგები იყოდაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა დაეფიქსირებინათ პოზიცია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. ასევე განმარტა, რომ სასურველი იქნებოდა თავდაპირველად ბიუჯეტთან დაკავშირებით დაეფიქსირებინათ პოზიცია, რადგან სადოქტორო პროგრამაზე სამეცნიერო კვლევებისა და ყველა თანმდევი მასალის გამოქვეყნებას სჭირდებოდა ფინანსები და შესაბამისად, საბჭოს ანტერესებდა, თუ რა ღონისძიებებს ატარებდა უნივერსიტეტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ხარისხის სამსახურის უფროსმა, განმარტა, რომ პროგრამას გააჩნდა საკუთარი ბიუჯეტი, ასევე შემუშავებული ჰქონდათ ბიუჯეტის შედგენის წესი, რომელიც შეადგინეს პროგრამის საჭიროებიდან გამომდინარე და ასახული იყო მთავარ ბიუჯეტში. მისი განმარტებით, პროგრამის ბიუჯეტი სრულად იყო მხარდაჭერილი დაწესებულების მხრიდან. გარდა ამისა, მან აღნიშნა რომ მივლინებების, სახელმძღვანელოსა და კვლევებისათვის საჭირო თახების გამოყოფა ხდებოდა , სპეციალური მუხლით, რომელიც გათვლილი იყო როგორც პროგრამის, ასევე უნივერსიტეტის ბიუჯეტშიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა გამატებით განმარტა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსი იყო. უნივერსიტეტის მთლიან და პროგრამაში ჩართულ პერსონალს, დოქტორანტებს ნამდვილად ჰქონდათ სრული მხარდაჭერა უნივერსიტეტის მხრიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტში არ ჰქონდათ პრობლემები დაფინანსებასთან დაკავშირებით, თუმცა პროფესირების მგზავრობასთან დაკავშირებით საჭირო ხარჯების ძირითად ნაწილს

სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ან აფხაზეთის მთავრობა ფარავდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში დიდი ხანი მუშაობდნენ ამ პროგრამაზე, როდესაც უნივერსიტეტი იყო სოხუმის ფილიალი მათ ორ დარგში ჰქონდათ ასპირანტურა: საქართველოს ისტორიაში და ქართული ლიტერატურის ისტორიაში, იქ ჰყავდათ 3 დაცული კანდიდატურა, რომლებიც გადიოდნენ ასპირანტურას, შემდეგ კი რეფორმის შედეგად აღნიშნული პროგრამა შეიქმნა.

დაწესებულების წარმომადგენელბა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების შესახებ განმარტა, რომ ტექნიკური სახის ხარვეზებს ჩაასწორებდნენ. სილაბუსს რაც შეეხებოდა, პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, ეს იყო ენობრივი სისტემა, და აუცილებლად გამოასწორებდნენ. ლიტერატურასთან დაკავშირებით, კი განაცხადა, რომ დოკუმენტების ანალიზი არ იყო გაკეთებული და ერთადერთ სილაბუსს წარმოადგენდა, რომელმაც გამოიწვია კითხვები და მასაც აუცილებლად გამოასწორებდნენ. მან ყურადღება გაამახვილა შიდა გრანტებზე, სამსახურთან ერთად შეიმუშავეს პროექტი, გრანტის მიღების ერთ - ერთი მთავარი პირობა იქნებოდა ჩართული არის თუ არა დოქტორანტი საგრანტო პროექტში, შეიმუშავეს მექანიზმები და 2019 წლის სექტემბრიდან აამუშავებდნენ მას. მათი განმარტებით უნივერსიტეტის დააფინანსებდა ისეთ პროქტებს, რომელიც სადოქტორო პროგრამასთან იყო დაკავშირებული. უნივერსიტეტს აუცილებელი პირობა, რომ დოქტორანტი ჩართული უნდა იყოს კვლევით პროექტებში, გაწერეს სტრატეგიულ გეგმაში. დარჩებილ რეკომენდაციებთან დაკავშირებით კი ხელმძღვანელმა სიტყვა გადასცა პროგრამის თანახელმძღვანელს.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა საბჭოს და გასაჩივრების ფორმალურ მექანიზმთან, აპელაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტში არსებობდა სპეციალური მარეგულირებელი წესი, რომელშიც დეტალურად იყო გაწერილი ყველა ეტაპი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუცა შეეძლოთ უფრო გაეძლიერებინათ ეს წესი. შიდა გრანტებთან დაკავშირებით საუბრისას მან მაგალითად ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები მოიყვანა, რომელიც წარმოადგენდა სავალდებულო საგანს, რომლის სწავლების შედეგს წარმოადგენდა კვლევის კომპონენტების შესწავლა. აღნიშნული საგანი ფინანსდებონა უნივერსიტეტის მიერ. იქ შეისწავლიდნენ კვლევის სწავლების მეთოდებს, ჰაგიოგრაფიულ აღწერილობას და ასე შემდეგ. კურსდამთავრებულთა დასაქმებასთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ დასაქმების არეალი გაიზრდებოა, რადგან გააფართოვეს პრაქტიკის განმახორციელებელი არეალი და უნივერსიტეტმა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გარდა ხელშეკრულება საქართველოს ეროვნულ მუზეუმთანაც გააფორმა, აგრეთვე უნივერსიტეტი ფიქროდა ხელშეკრულება დაედო ზუგდიდის დადიანების სასახლესთან, რაც გააძლიერებდა დოქტორანტების საქმიანობას. რაც შეეხებოდა ბიუჯეტს, პროგრამის ხელმძღვანელმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარის შეხედულებით კონფერენციებისთვის მეტი თანხა უნდა გაწერილიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს გამოეთქვათ თავიანთი პოზიცია.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ ის იცნობდა პროგრამას და იმ საბჭოს წევრიც იყო, რომელიც 2018 წელს იხილავდა აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის საკითხს. იგი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებეს და აღნიშნა, რომ ძირითადი ხარვეზები, რომელბის წინა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესის მიმდინარეობის დროს გამოვლინდა გამოსწორებული იყო.

საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს პროგრამის თემატიკიდან გამომდინარე, ჰქონდათ თუ არა რაიმე სამეცნიერო კავშირო აფხაზეთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საქართველოს ისტორიის ერთ -ერთი მიმართულება აფხაზეთთან დაკავშირებული საკითხების კვლევებით იყო დაკავებული, ასევე განაცხადა, რომ უნივერსიტეტი იყო საქართველოში წამყვანი დაწესებულება, სადაც მიმდინარეობდა აფხაზეთის ისტორიის თანმიმდევრული თანამედროვე კვლევა. მთავარი იყო ის ფაქტი, რომ მკვლევარები, არა მხოლოდ იკვლევენ აფხაზეთის ისტორიას, არამედ ჩართულნი იყვნენ ისტორიაგრაფულ პოლემიკაშიც.

საბჭოს თავმჯდომარე ჩაეკითხა, ჰქონდათ თუ არა რაიმე სამცნიერო კავშირი აფხაზეთის მთავრობასთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ ჰქონდათ არაოფიციალური კავშირი კოლეგებთან. აფხაზეთის ა/რ-დან იგზავნებოდა ლიტერატურა. ერთადერთი რაზეც ისინი ოცნებობენ და ფიქრობენ იყო აფხაზი დოქტორანტების ყოლა. ასევე განმარტა, რომ იქ ძალიან დიდი კრიზისია და ისტორიული მეცნიერება ისწავლებოდა რუსულ ენაზე. უნივერსიტეტს შეეძლო გაეწიათ კონსულტაციები ბაკალავრის დონეზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დაამატა, რომ მათ ჰქონდათ გამოცემული ნაკრები 2010 წლით დათარიღებული ნაშრომის „მგზავრობა სოხუმში", მათ გამოსცეს სახელმძღვანელო ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, "საქართველოს ისტორიის ნარკვევები - აფხაზეთი", რომელიც არის კოლექტიური ნაშრომი და რომელზეც ჩართული იყვნენ პროგრამის პროფესორები, გააგზავნეს სოხუმში, საიდანაც დაუკავშირდათ ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი და მადლობა გადაუხადა წიგნის შექმნისთვის.ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი ძირითადად რუსულ ენაზე ითხოვენ თარგმნას. მაგალითად რამდენიმე განხორციელებული პროექტი, რომელებიც შემდგომში ჩეხეთში, ესპანეთში, საფრანგეთში, ათენში გამოიცა, არაბულ ენაზეც კი ითარგმნა "საქართველო - აფხაზეთის ისტორიის პოლიტიკის და კულტურის საკითხები", აფხაზეთის ა/რ-ს წარმომადგენლები ითხოვდნენ რომ რუსულ ენაზეც გადათარგნილიყო, ამიტომ უნივერსიტეტი ფიქრობდა ეს პროექტი რუსულადაც ეთარგმნათ და გაეგზავნათ სოხუმში. საბჭოს წევრმა განაცხადა რომ დაწესებულების წარმომადგენლებთა ჰქონდა ორი შეკითხვა: პირველ შეკითხვასტან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის საერთაშორისო აქტივობა ჩანდა მათი ავტობიოგრაფიიდან (CV), მაგრამ დოქტორანტებს რამდენად ჰქონდათ შესაძლებლობა ჩართულიყვნენ საერთაშორისო აქტივობაში და ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით კიდევ რა ღონისძიებებს მიმართავდნენ უნივერსიტეტში გარდა იმისა რაც უკვე აღნიშნეს. მეორე შეკითხვა ეხებოდა დოქტომანტების სადისერტაციო ნაშრომების აპრობაციას და მათ მონაწილეობას ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკადემიურ პერსონალის აქტივობა ნამდვილად ჩანდა მათი ავტობიოგრაფიიდან (CV), ხოლო დოქტორანტების აქტივობა კარგად შეიმჩნევოდა 2017-2018 წლიდან. ისინი მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონფერენციებშიც და მათ მიერ საერთაშორისო კონფერენციებზე გატანილი ყველა მოხსენება სადოქტორო ნაშრომის ნაწილს წარმოადგენდა და ერთგვარ აპრობაციას გადიოდა ამ კონფერენციებზე. მისი განმარტებით, ერასმუსისა და ტემპუსის ფარგლებში სამმა დოქტორანტმა მიიღო მონაწილეობა. ერთს ჰქონდა გატანილი მოხსენებ "კულტურული განათლება ისტორიის სახელმძღვანელოებში და ზოგადად ისტორიის სახელმძღვანელოების კუთხით". თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო კომპეფენციაზე ერთ-ერთი სტუდენტი გამოდიოდა მოხდსენებით, რომელიც შუა საუკუნების ტაო - კლარჯეთის თემას შეეხებოდა და იგივე თემა დოქტორამტმა გაიტანა რუმინეთში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე. გარდა ამისა, მათ ორი დოქტორანტი ჰყავდათ გაშვებული რუმინეთში. ასევე ჰყავდათ დოქტორანტი, რომელსაც თანახელმძღვანელი იყო ჩინელი. თბილისში ერთწლიანი კურსი გაიარა ამ დოქტორანტმა და ჩინეთ - საქართველოს ურთიერთობებზე მუშაობს,

დისერტაცია დამთავრების პროცესში იყო და მასაც ჰქონდა საერთაშორისო აქტივობა. ასევე მან აღნიშნა, რომ დოქტორანტები აქტიურად არიან ჩართული ერასმუსის პროექტში ინგლისური ენის სწავლლების ამაღლების თვალსაზრისით, რომელიც დაფინანსებული იყო ევროკავშირის მიერ და თითქმის უმრავლოსობა დოქტორანტებისა ამ პროგრამაში იყო ჩართული. ამ თვალსაზრისით საერთაშორისო აქტივობამ 2017-2018 წლებიდან მოიმატა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ კიდევ რამეს დამატება.

საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომაზე 17:28 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 17:39 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

- რეკომენდაცია:
- სემინარი 2-ს წინაპირობად განისაზღვროს სემინარი 1

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-3[1] პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის:

საგანმანათლებლო პროგრამა - „ისტორია"

საფეხური - დოქტორანტურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ისტორიის დოქტორი (1004)

მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საბჭოს სხდომას 17:13 საათზე შემოუერთდა ნატო გენგიური.

სხდომა დატოვეს ნინო ლიპარტიამ და ნიკოლოზ ჯავახიშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა სალომე თოთიბაძეს.

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გეოგრაფია
განათლების საფეხური	ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი გეოგრაფიაში 0505
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	გეოგრაფიის მაგისტრი 0505
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა

პროგრამის მიკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გეოგრაფია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	გეოგრაფიის დოქტორი 0505
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა სამივე მონიტორინგის შედეგები განეხილათ ერთად, რადგან უნივერსიტეტი, პროგრამა და მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფი იყო ერთი და იგივე, განსხვავება მდგომარეობდა პროგრამის საფეხურებში. გადაწყვეტილებები შესაბამისად იქნებოდა ცალ - ცალკე მიღებული თითოეული საფეხურის პროგრამისთვის.

საბჭოს წევრები, ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ შუამდგომლობას.

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა ლევან გორდეზიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურეინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციებსა და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნებს, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ პოზიცია სამივე საფეხურის პროგრამასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა იმ მასალებზე, რა მასალებიც მათ გადაეცათ რამდენიმე ხნის წინ, მასალები მთლიანობაში წარმოდგენილი იყო სამივე პროგრამაზე, ესენია: გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამები და ყველა შენიშვნა, რაც საბჭოს და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა დაფიქსირებული გათვალისწინებული იყო უნივერსიტეტის მიერ. მან განუმარტა საბჭოს თავმჯდომარეს, რომ ის ისაუბრებდა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე, ხოლო საბაკალავროზე ისაუბრებდა ექსპერტთა ჯგუფის წევრი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოსაზრებით, მთლიანობაში სამივე პროგრამა მისაღები იყო. ასევე, ყველა შენიშვნა და რეკომენდაციაზე პასუხი იქნა გაცემული. დაფიქსირებული ხარვეზები შესწორდა, დაემატა ახალი საგნები, რომლებიც იყო გათვალისწინებული მოთხოვნაში, აგრეთვე, პროგრამის ხელმძღვანელებს არგუმენტირებული პასუხები ჰქონდა გაცემული ყველა საკითხზე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა არსებობდა თუ არა ისეთი რჩევა ან რეკომენდაცია, რომელიც უნივერსიტეტმა არ გაითვალისწინა.

ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ასეთი რჩევა ან რეკომენდაცია არ არსებობდა, და რომ მათი მოთხოვნები არა რეკომენდაციის, არამედ რჩევის სახით იყო გაცემული უნივერსიტეტის მიმართ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ არსებობდა 2 რეკომენდაცია, რომლებიც სრულად გაითვალისწინა დაწესებულებამ აგრეთვე აღნიშნა სამაგისტრო პროგრამაზეც გაცემული გარკვეული რეკომენდაციების შესახებ, მაგალითად აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციაში - გისის პროგრამაში მეტი ტექსტები ყოფილიყო - დაამატეს რამდენიმე საკითხი, მოძველებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით გაცემულ რეკონდაციასთან მიმართებით დაწესებულებამ მას ახალი ლიტერატურა დაამატა. მთლიანობაში მონოტორინგის ექსპერტთა ჯგუფის

თავნჯდომარის მოსაზრებით სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები იმ შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებიდან გამომდინარე მისაღები იყო.

ექპერტთა ჯგუფის წევრმა წარმოადგინა საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით, თავისი პოზიცია და განაცხადა, რომ საბაკალავრო პროგრამაზე უფრო მეტი რეკომენდაციები არსებობდა და უნივერსიტეტმა ამ კუთხით უფრო მეტი სამუშაო შეასრულა. მისი თქმით, იყო საკითხები სადაც უნივერსიტეტს თანხვედრაში უნდა მოეყვანა პროგრამა რეკომენდაციებთან და სადაც ვერ დაეთანხმნენ დაარგუმენტირებულ პასუხი მიწერეს ექსპერტებს. მაგალითად მოიყვანა რამდენიმე შემთხვევა სადაც ერთ - ერთი იყო აკადემიურ მიდგომასთან მათი განსხვავება, გისების სწავლების სისტემა, უნდა ყოფილიყო ვერტიკალური სტრუქტურა სწავლების, სადაც ყოველი კურსი წინა კურსი შემდეგის წინაპირობა იყო, თუ იქ არსებობდა სხვანაირი ფორმატიც, უფრო გაშლილი, რომელიც მეტი არჩევანის საშუალებას იძლეოდა. მთავარი და პრინციპული, რაც იყო პროგრამის მიზნებთან და განხორციელებასთან დაკავშირებული, ექსპერტის მოსაზრებით დაწესებულების მიერ ფაქტიურად ყველაფერი გათვალისწინებულიყო. უნივერსიტეტმა დიდი სამუშაო გასწია, რადგან იყო გათვალისწინებული: პროგრამის მიზნებისა და შედეგების თემა უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბეს, დარეგულირდა შრომის ბაზარის შესაბამისობა თვითონ პროგრამის აღწერით ნაწილში, სტრუქტურაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, დაემატა გარკვეული საგნები, მაგალითად ისეთი როგორიც იყო დისტანციური ზონდირება, გაძლიერდა საველე კვლევითი კომპონენტი პროგრამაში, ერთ სემესტრში გაატარეს საველე კვლევითი სილაბუსი და ეს ყველაფერი აისახა მთლიანად პროგრამის სტრუქტურაში არჩევით და სავალდებულო საგნების გადანაწილებაში.

აგრეთვე ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ იყო რეკომენდაციები და შენიშვნები გარკვეულ ტექნიკურ საკითხვებთან დაკავშირებით, რომლებსაც რიგ შემთხვევაში უბრალოდ ისინი ვერ შეამოწმებდნენ, რადგან ამის საშუალება, შემოწმების ფორმატიდან გამომდინარე, მათ არ ჰქონდათ, იყო მასალები, რომლებიც სტუდენტებს ჰქონდათ და უნივერსიტეტის წარმომადგენლებს არა. უმეტეს შემთხვევაში გადახედილ იქნა ასევე სასწავლო მასალები, ლიტერატურის ჩამონათვალი, იყო შემთხვევა, როდესაც ლიტერატურის ჭარბი რაოდენობა იყო მითითებული, სადაც მოხდა გაფილტვრა და ახალი მასალების დამატება.

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის წევრმა გისის კურსებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სტრუქტურასთან დაკავშირებით ბევრი რამ თვითონ სილაბუსებში მოწესრიგდა და რაც მთავარი იყო ამ კურსის შესავალ ნაწილში მათი რეკომენდაციები იქნა გათვალისწინებული. ასევე გათვალისწინებული იქნა რეკომენდაციები ზოგიერთი საგნების ვიწრო სპეციალიზაციულ ბაზებთან დაკავშირებით და მათი ნაწილი არჩევით ფორმატში იქნება გადანაწილებული და ნაწილი დაეთანხმა მათ რეკომენდაციებს, რომ ამ პროგრამის ფარგლებში შეიძლება არც იყოს საჭირო ესეთი საგნების გავლა. უმეტესობა მაინც არჩევით საგნებში იყო შეთავაზებული, დაზუსტდა რამდენიმე საგნის სათაურიც უფრო გასაგები რომ ყოფილიყო სტუდენტებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ექსპერტების პოზიციით ფინანსურ მდგრადობასთან დაკავშირებით, რადგან სტუდენტთა რაოდენობა მცირე იყო და ფინანსურად ვერ იქნებოდა მდგრადი ეს პროგრამა განსაკუთრებით სამაგისტრო, სადოქტორო საფეხურებზე.

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის წევრმა განმარტა, რომ ფაკულტეტს არ გააჩნდა ცალკე ბიუჯეტი და ყველა ხარჯი გათვალისწინებული იყო საუნივერსიტეტო ბიუჯეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს სრულად ერთიანი ბიუჯეტიდან ფინანსდებოდნენ თუ არა, ფარავდა თუ არა ფაკულტეტი ამ პროგრამას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ცალკე ბიუჯეტი პროგრამას არ ჰქონდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მატერიალურ ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებით მათ მხოლოდ სიტყვიერი პასუხი მიიღეს და ამაზე მეტი ინფორმაცია ვერ მიიღეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფს ლაბორატორიულ მოწყობილობილობებთან დაკავშირებით დაეფიქსირებინათ აზრი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ამასთან დაკავშირებით მათ ჰქონდათ რეკომენდაცია და მიიღეს წერილობითი პასუხი თუ რა სამუშაოები მიმდინარეობდა ან იგეგმებოდა იმ საკითხებთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა , რომ დაეზუსტებინათ იყო თუ არა დასრულებული სამუშაოები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ნაწილი დასრულებული იყო, ნაწილი დასაზუსტებელი. მათ რეკომენდაციაშიც ჰქონდათ მითითებული, რომ ამ ფორმატში ისინი მხოლოდ არსებული მასალიდან მსჯელობენ და სილაბუსში ჩადებული ინფორმაციიდან ცდილობდნენ მასალის შესწავლას. მათი აზრით, მთავარი იყო ის ფაქტი, რომ პროგრამის დახვეწაში ექსპერტის რეკომენდაციებმა დიდი როლი შეიტანეს.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინათ პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტისთვის აღნიშნულ ფორმატში შეხვედრა სასარგებლო და ღირებული იყო. მისი თქმით, რადგან პროგრამებმა დიდი ხნის წინ გაიარეს აკრედიტაციის პროცესი უნდა გაეარათ ეს პუნქტიც. მათ სხვა დამოკიდებულება გაუჩნდათ აკადემიური პროგრამების მიმართ. ძირითადი მასალები რაც მიეწოდათ ექსპერტებს პირველი შეხვედრების შემდეგ დეტალურად იქნა განხილული. აგრეთვე ჩატარდა შეხვედრა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და დეტალურად იქნა გავლილი და მხარდაჭერილი აბსოლიტურად ყველა საფეხური. ტექნიკურ ბაზებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, აღნიშნული ფორმატი არ აძლევდა საშუალებას ექსპერტებს, რომ მისულიყვნენ ადგილზე და გარკვეული დეტალები შეესწავლათ, რაღაც ნაწილი არ გამოჩნდა. ბაზებთან დაკავშირებით ბევრი რეკომენდაციების შემდგომ, დაწყებული წიგნების რესურსიდან დამთავრებული ტექნიკურ რესურსებამდე, რიგი საკითხები შეივსო და გარდა ამისა რაღაც ნაწილი გაუმჯობესდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ღირებული რჩევებისთვის და განაცხადა, რომ ისინი ცდილობდნენ მაქსიმალურად გაეთვალისწინებინათ და გაეუმჯობესებინათ პროგრამები, ძალიან ბევრი იმუშავეს დეპარტამენტთან პროგრამის ხელმძღვანელებმა. საგანმანათლებლო პროგრამებს 2020 წელს უწევდათ აკრედიტაცია და ნამდვილად ძალიან კარგი გამოცდილება მიიღეს და მნიშვნელოვანი ეტაპი გაიარეს განვითარების თვალსაზრისით, რაც ნამდვილად სჭირდებოდათ. საბუნებისმეტყველო დარგები სწრაფად განვითარებადი დარგებია და ეს განვითარება მისი თქმით, მას სჭირდებოდათ.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 18:00 საათზე.
სხდომა განახლდა: 18:03 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილებები:

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული

წარმოება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით, გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დაიხურა 18:04 საათზე.

თავმჯდომარე:
ქეთევან ქოქრაშვილი

მდივანი:
ნინო ლიპარტია

მდივანი:
სალომე თოთიბაძე